საიდ. N80264/03

IR 1228781

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N24-03/16

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ - „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე, ი. გიქორაშვილი, უ. ოშხნელი, თ. კევლიშვილის მდივნობით განიხილა კომპანიის „კავასაკი კისენ კაიშა, ლტდ.“ (KAWASAKI KISEN KAISHA, LTD.) N24-03/16 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 2 დეკემბრის N3550/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის „DRIVE GREEN“ (საიდ. N80264, IR1228781) დაცვის მინიჭება მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (39-ე კლასი).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 2 დეკემბრის N3550/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს, „DRIVE GREEN“ (საიდ. N80264, IR1228781) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე, ვინაიდან, არაგანმასხვავებელუნარიანია 39-ე კლასის მომსახურების ჩამონათვალის მიმართ. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც არაგანმასხვავებელუნარიანია შესაბამისი საქონლის მიმართ“. განცხადებული სასაქონლო ნიშანი მოკლებულია განმასხვავებელუნარიანობას, რადგან შედგება სიტყვიერი ელემენტების „DRIVE“ და „GREEN“-ის გაერთიანებისგან. „DRIVE“ ქართულად ნიშნავს „მართვას“, ხოლო „GREEN“ „მწვანეს“. სიტყვათა ერთობლიობის „DRIVE GREEN“ ქართული მნიშვნელობა არის „ატარე მწვანე“ და ასევე, „გარემოსდაცვითი“. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნიშანი აღიქმება, როგორც 39-ე კლასის მომსახურების დადებითი თვისებების აღმნიშვნელი ტერმინი, კერძოდ, მომსახურება რისთვისაც მოითხოვება ნიშნის დაცვა, ხორციელდება გარემოსთან მეგობრული გზით, ეკოლოგიურად სუფთა პირობებში და არ ბინძურდება გარემო. შესაბამისად, აღნიშნული დასახელება არ განასხვავებს ერთი საწარმოს საქონელს ან/და მომსახურებას მეორე საწარმოს საქონლისა ან/და მომსახურებისგან. აღნიშნულის გამო, განცხადებულ ნიშანს „DRIVE GREEN“ (საიდ. N80264, IR1228781) „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე.

აპელანტი კომპანია „კავასაკი კისენ კაიშა, ლტდ.“ (KAWASAKI KISEN KAISHA, LTD.) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას და განმარტავს, რომ ექსპერტის მიერ მოყვანილი თარგმანი არ არის ზუსტი, რადგან არ გადმოსცემს იმ არსს, რომელიც ჩადებულია განცხადებულ სასაქონლო ნიშანში. თარგმანი სწორი რომც ყოფილიყო, აპელანტისათვის გაუგებარია, რატომ მიიჩნევა ნიშანი არაგანმასხვავებელუნარიანად და წარმოადგენს მომსახურების ან მისი თვისებების აღმნიშვნელ ტერმინს. „ატარე მწვანე“ არ მიუთითებს არავითარ მომსახურებაზე და არც მის რომელიმე თვისებაზე. ნიშანი არ ითარგმნება როგორც „გარემოსდაცვითი“, ის არ შედგება მხოლოდ სიტყვისაგან „GREEN“. აპელანტი ეთანხმება ექსპერტის არგუმენტს, რომ სიტყვიერი ნაწილი „DRIVE“ ქართულ ენაზე ნიშნავს „მართვას“, ხოლო „GREEN“ „მწვანეს“ და რომ ეს უკანასკნელი დაკავშირებულია ეკოლოგიასთან. აპელანტის განმარტებით, სიტყვას „GREEN“ აქვს ასევე, შემდეგი მნიშვნელობა: „ეკოლოგიური“, „ეკოლოგიურად სუფთა“, „ეკოლოგიურად ხელსაყრელი“. შესაბამისად, „DRIVE GREEN“ ქართულ ენაზე ითარგმნება, როგორც „მართე ეკოლოგიურად“, „მართე ეკოლოგიურად ხელსაყრელად“. აღნიშნული წარმოადგენს სლოგანს, მოწოდებას, რომელიც მოუწოდებს ადრესატებს მართოს ისე, რომ არ მოხდეს გარემოს დაბინძურება. აპელანტი განმარტავს თუ რას გულისხმობს ეკოლოგიური მართვა ან ეკოლოგიურად ხელსაყრელი მართვა. ავტომობილის აგრესიულად მართვის დროს, მაშინ როცა მძღოლი არ იცავს სიჩქარის ოპტიმალურ რეჟიმს და სატრანსპორტო საშუალებას მკვეთრად და გადაჭარბებული სიჩქარით ძრავს ადგილიდან, ხდება საწვავის გაზრდილი ხარჯვა, გამონაბოლქვების გადაჭარბებული გამოფრქვევა და შესაბამისად, ხდება ეკოლოგიის დაბინძურება. განცხადებული ნიშანი არის სლოგანი, მოწოდება, რომ სატრანსპორტო საშუალების მართვის სტილი იყოს ოპტიმალური, ანუ ეკოლოგიური, ანუ ეკოლოგიურად ხელსაყრელი, რათა ადგილი არ ჰქონდეს გარემოს დაბინძურებას. აპელანტის განმარტებით, სლოგანის არსი არის შემდეგი: „ნუ მართავ ისე, რომ დაბინძურდეს გარემო“. განცხადებული ნიშანი არ მიუთითებს 39-ე კლასის მომსახურებაზე ან მის რომელიმე თვისებებზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 2 დეკემბრის N3550/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის „DRIVE GREEN“ (საიდ. N80264, IR1228781) დაცვის მინიჭებას მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (39-ე კლასი).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. N24-03/16) არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც არაგანმასხვავებელუნარიანია შესაბამისი საქონლის მიმართ“.

განცხადებული სასაქონლო ნიშანი სიტყვიერია და შესრულებულია სტანდარტული ლათინური ასოებით. განცხადებული ნიშანი შედგება სიტყვიერი ელემენტებისგან „DRIVE“ და „GREEN“. „DRIVE“ ქართულ ენაზე ითარგმნება, როგორც მართვა, ხოლო „GREEN“ - მწვანე. სასაქონლო ნიშანი განცხადებულია 39-ე კლასის (ტრანსპორტირება; საქონლის შეფუთვა და შენახვა; მოგზაურობის ორგანიზება;) მომსახურების ჩამონათვალის მიმართ. განცხადებული სასაქონლო ნიშანი არის მოწოდება, ზოგადი რჩევა. სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული ნიშანი მომხმარებლის მიერ არ აღიქმება, როგორც სასაქონლო ნიშანი, არამედ აღიქმება, როგორც დადებითი, სასარგებლო ქცევისკენ მომწოდებელი სლოგანი. სასაქონლო ნიშნის დანიშნულებაა, განასხვავოს ერთი საწარმოს საქონელი ან/და მომსახურების მეორე საწარმოს საქონლის ან/და მომსახურებისაგან, განცხადებულ ნიშანს არ შესწევს უნარი შეასრულოს აღნიშნული ფუნქცია, ვინაიდან, 39-ე კლასის მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის მიმართ იგი

არაგანმასხვავებელუნარიანია. კერძოდ, მოწოდება ეკოლოგიის დაცვისკენ მომხმარებლის მიერ არ იქნება აღქმული, როგორც საქონლის ან/და მომსახურების იდენტიფიცირების საშუალება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „DRIVE GREEN“ (საიდ. N80264, IR1228781) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „კავასაკი კისენ კაიშა, ლტდ.“ (KAWASAKI KISEN KAISHA, LTD.) სააპელაციო საჩივარი (N24-03/16) არ დაკმაყოფილდეს.

2. ძალაში დარჩეს „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 2 დეკემბრის N3550/03 ბრძანება.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი

თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:	ნ. გოგილიძე
წევრები:	ი. გიქორაშვილი
	უ. ოშხნელი